პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

12 მაისი კვირა 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 48-ე წელი • № 109 (14105)

ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ

- მუშათა კლასს — ღირსეული ცვლა და შემსვლელი
- ვარკეთილის ფალკოტებში
- ამერიკა, როგორიც ის ნამდვილად არის
- გუნება გაწყრა და საუნჯეა
- მეცნიერების, ხელოვნებისა და სპორტის ახალი ამბები

ახალგაზრდა მუშა

სწორედ ახალგაზრდობამ უნდა გადაჭრას კომუნისტური საზოგადოების შექმნის ნამდვილი ამოცანა.

ვ. ი. ლენინი



ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲦᲚᲘᲐᲜ ᲛᲘᲬᲐᲖᲔ

ᲐᲡᲔ ᲒᲐᲛᲝᲜᲘᲣᲠᲔᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲕᲐᲠᲙᲔᲗᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲙᲣᲗᲮᲔ. (წერილს ვარკეთილის მეურნეობის შესახებ გაეცნობით გაზეთის მე-3 გვერდზე).

ფოტო ᲛᲚ. ᲑᲘᲜᲬᲑᲣᲠᲒᲘᲡᲐ.

ᲣᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔᲣᲠᲐᲓ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲒᲐᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲭᲠᲐᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ.

Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘ

ᲣᲧᲝᲕᲔᲚᲘ დილით, საყვირის ხმაზე დინჯად, მტკიცე ნაბიჯით, ხვალინდელი დღის რწმენით მიემართებიან ისინი საწარმოსაკენ. თითქმის ყრმობიდან შეზრდილან მშობლიურ ქარხანას, პირნათლად უტარებიათ მუშის საპატიო სახელი. მრავალ მათგანს, შეიძლება დღეს იგი საბენსიო ასაკშიც იყოს, გული კვლავინდებურად ერჩის, თვალი უჭირის და მკლავიც ემორჩილება. ასეთ ადამიანს ჩვენში სათუთად ეპყრობიან, ვეტერანი ხომ წარმოების სული და გულია. აი ჩამოხსნა ჩარხიდან ლითონი, თითები შეახო, და უხელსაწყოდაც გრძნობს, რომ დეტალი მზად არის! ასეთ ხარატს საამქროს უფროსი და კონსტრუქტორიც ხშირად რჩევას ჰკითხავენ. ახალგაზრდა მუშის აღზრდას ანდობენ.

მზიური საქართველოს მონოლითურ მუშათა კლასს სახელოვანი გვარდიელები ჰყავს, რომელთა მდიდარ ტრადიციებზე კიდევაც დაიზრდებიან ახალი შვარდნები, ჩვენი აწმყო და მომავალი.

ახალგაზრდა მუშა! იტყვი, და თვალწინ წარმოგიდგება სიცოცხლითა და ჯანღონით სავსე ადამიანი. მამულის ასაუკეთესოდ და სადიდებლად ხად არ იღვწიან ისინი — მთის გულში თუ ველად — მშენებლობაზე, ჩარხთან თუ საგესთან...

დიახ, მუშის მოვალეობის კეთილსინდისიერად მოხდა ყოველთვის დიდ სიხარულს განგვაცდევინებს. ეს იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში ადამიანი შრომობს მთელი საზოგადოების საკეთილდღეოდ. ყოველდღიურად მას თავისი წვლილი შეაქვს მრავალი თაობის ყველაზე სანუკვარი ოცნების — კომუნიზმის აშენების საქმეში. სწორედ ამაშია სათავე ჩვენი შემოქმედებითი შრომის ბედნიერი შთაგონებისა, რაც გადაქცევს ხოლმე შრომას ღირსების, მამაცობისა და გმირობის საქმედ.

...ჭიათურის კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივში კარგი სახელით სარგებლობს მნგრეველ-ამწენები მიხეილ ღულღუნიშვილი, რომელიც მაღაროელთა დინასტიის საუკეთესო წარმომადგენელია. მისი პაპა სიმონი რევოლუციამდელ ჭიათურაში მნგრეველი იყო. ძველი მაღაროელის საქმე გააგრძელა მისმა შვილმა ლავრენტიმ, რომელმაც ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენები დაიმსახურა. ახლა მის შრომითს ტრადიციას აგრძელებს ვაჟი მიხეილი, რომელსაც მკერდს უმშვენებს მთავრობის ორდენები და მედლები.

მიხეილ ღულღუნიშვილი მაღაროელებმა და ზემო იმერეთის მშრომელებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. ამ ერთი კვირის წინათ მაღაროში შეჯამეს მისი შრომის შედეგი. აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდა მნგრეველს ორ წელიწადსა და ოთხ თვეში დავალება 135 პროცენტით აქვს შესრულებული. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ხუთწლედის უკვე მეოთხე წლის ანგარიშში იძლევა პროდუქციას. მიხეილ ამასთანავე ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა იმ 8-ათასიანი არმიის წარმომადგენელია, რომელმაც გასული ორი წლის მანძილზე რამდენიმე ათასი რაციონალიზატორული წინადადება დანერგა და 28 მილიონი მანეთი პირობითი ეკონომია მისცა სამშობლოს!...

ჩვენდა საბედნიეროდ, მიხეილ ღულღუნიშვილი ერთადერთი როდია. მუშათა კლასის ხაუკეთესო ტრადიციის ასეთი განმგრძობნი მრავლად მოგვეპოვებიან. რესპუბლიკის პროფტექნიკურ სასწავლებლებში ჩვენი ჭაბუკები და გოგონები ეუფლებიან, სრულყოფენ სხვადასხვა პროფესიას, სიამედოდ უდგანან მხარში ჩვენს ვეტერანებს.

დღეს მუშა ჩარხის დანამატი როდია, იგი მოაზროვნე ადამიანია. ამიტომ ახალგაზრდობა გულხელდაკრეფილი კი არ უნდა იჯდეს, არამედ პრაქტიკაში იყენებდეს ძვირფას თეორიულ დებულებებს, ყოველივე სიახლეს.

ახალგაზრდობა უძვირფასესი კაპიტალია, რომელიც ფუჭად არ უნდა გაიფლანგოს.

„სწორედ ახალგაზრდობამ, — გვასწავლის ვ. ი. ლენინი, — უნდა გადაჭრას კომუნისტური საზოგადოების შექმნის ნამდვილი ამოცანა“. და ეს საშვილიშვილო მისია რომ შეასრულოს, ახალგაზრდობამ უნდა ისწავლოს. ამიტომ საჭიროა დიდი უურადღება მიგაქციოთ მისი ზოგადსაგანმათლებლო და პროფესიული ოსტატობის დონის ზრდას. ამ მხრივ საქმე განსაკუთრებით კარგად დგას რესპუბლიკის ელექტროტექნიკურ საწარმოებში. 8.700 ახალგაზრდა მუშიდან ყოველი მესამე დაუსწრებლად სწავლობს ტექნიკუმებში, უმაღლეს სასწავლებლებში.

მუშათა ახალი ცვლის აღზრდისათვის ვერ გამოიყოფ რაღაც სპეციალურ საათს. ამით გამსჭვალული უნდა იყოს კომკავშირული ორგანიზაციების მთელი მოღვაწეობა. რა თქმა უნდა, მანქანათა ძრავების ხმაურს მიღმა გესმოდეს თუ რისთვის ძგერს იმ ახალგაზრდების გული, რომლებმაც თავიანთი ბედი საწარმოს დაუკავშირეს, — ეს დიდი ხელოვნებაა. თუმცა ახალგაზრდობის ზოგიერთ ხელმძღვანელს ჰგონია, რომ ყოველგვარი მორალური სნეულებისათვის შრომა თავისთავად საუცხოო წამალია. დიახ, შრომა ადამიანის ჩამოყალიბებაზე კეთილშობილურად მოქმედებს, მაგრამ არ შეიძლება დავივიწყოთ: ისწავლო კარგად შრომა მარტო ეს როდი ნიშნავს ბედნიერ კარგი ადამიანი. სხვადასხვა მოტივი აიძულებს ადამიანებს გადაჭრებით შეასრულონ ნორმები და მიაღწიონ პროდუქციის ხაუკეთესო ხარისხსაც. ამიტომ კომკავშირული აქტივისათვის სულ ერთი არ უნდა იყოს, შეგნებულად უდგება ახალგაზრდა საქმეს, ესმის თუ არა მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

სამწუხაროდ, ყველგან ასე როდი ფიქრობენ. მაგალითად, ზუგდიდის 46-ე და 50-ე პროფტექნიკურმა სასწავლებლებმა ენგურჰესის მშენებლობისათვის (რომელიც დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობად ითვლება) უკანასკნელი ორი წლის მანძილზე 580 ახალგაზრდა მოამზადეს, დღეისათვის მათგან მხოლოდ მესამედი თუ მუშაობს.

მუშის სახელს ატარებდე — ეს ნიშნავს წარმოების პატრონის დიდ უფლებებთან ერთად გრძნობდე დიდ მოვალეობასაც. ეს ნიშნავს პასუხს აგებდე არა მარტო პირად საქციელსა და შრომაზე, არამედ კოლექტივის, წარმოების და მთელი ქვეყნის საქმეზეც. ახლა, როცა ჩვენი ხალხი ახორციელებს სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, ასეთი პასუხისმგებლობა თვითეულისათვის აუცილებელია.

განსაკუთრებულ მზრუნველობას მოითხოვს აღუძრა ახალგაზრდა მშრომელს მშობლიური საწარმოსათვის სიამაყის გრძნობა, მისი საქმეებისათვის პასუხისმგებლობა. აქ ფართო სარბიელი იშლება პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, შრომის ვეტერანების წინაშე. ამ მიზნისათვის მიზანშეწონილია გამოცდილ და ახალგაზრდა მუშებს შორის ხშირად ეწყობოდეს უშუალო საუბრები წარმოებისადმი მეპატრონული მიდგომის, მუშის სინდისისა და მოვალეობის შესახებ. ამ მხრივ ჩვენს დიად ქვეყანაში სულ უფრო იკიდებს ფეხს ინიციატივა გორკელი ავტომშენებლების — სოციალისტური შრომის გმირების ა. კოსიკინის, ს. კუზნეცოვისა და ი. პერმიაკოვის, რომლებმაც მოუწოდეს ვეტერანებს შეფობა გაუწიონ ახალგაზრდობას.

„არც ერთი ჩამორჩენილი შენს გვერდით!“ — ასეთია ამ პატრიოტული თაოსნობის დევიზი, რომელიც გამსჭვალულია იმისათვის მზრუნველობით, რომ მოვუმზადოთ ჩვენს სახელოვან მუშათა კლასს ღირსეული ცვლა, გავსადოთ წარმოება მაღალეფექტური.

ამაყობდე მშობლიური საწარმოთი — ნიშნავს გაზარდო მისი საპატიო სახელი, გააკეთო ყველაფერი, რომ ქარხნის მარკა არ შეელახოს წუნდებული პროდუქციითა და რეკლამაციებით.

მშობლიური საწარმოს ღირსება შენი ღირსებაც არის!

რეალიზაციაც, ხარისხიც

ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ იზრდება თბილისის № 1 სტრიკოტაჟო ფაბრიკის (დირექტორი გ. შენგელია) მიერ გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა და ასორტიმენტი. ფაბრიკაში დღეს იკერება შალის მრავალფეროვანი კაბები, ქალის ჟაკეტები, ბავშვის კოსტიუმები, რომლებზეც მოთხოვნილება სულ უფრო მატულობს.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ფაბრიკის კოლექტივმა ბევრი სიახლე განახორციელა. რითაც კიდევ უფრო აამაღლა საწარმოს ეკონომიური მაჩვენებლები. მარტო მრგვალი ფაგის საქსოვი მანქანებისა და გასაუთოებელი წნეხების დანერგვით მნიშვნელოვნად ამაღლდა პროდუქციის ხარისხი, შრომის ნაყოფიერება.

ტექნიკურმა პროგრესმა, კაბის 10 ახალი ნიმუშის თვისებამ და მთელმა რიგმა ორგანიზაციულმა ღონისძიებებმა ქარხნის კოლექტივს საშუალება მისცა დიდი გადაჭარბებით შეესრულებინა პირველი კვარტალის საწარმოო გეგმა. ნაცვლად 4 მილიონ 143 ათასი მანეთისა რეალიზებულია 5 მილიონ 49 ათასი მანეთის პროდუქცია, მოგებამ გეგმის გადამეტებით 9 ათასი მანეთი შეადგინა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ სამკერვალო საამქროს ბრიგადები, რომლებსაც ა. ნადარეიშვილი და შ. ვეგიროვი ხელმძღვანელობენ. აპრილის დაგალება მათ დიდი გადაჭარბებით შეასრულეს.

სკკპ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1968 წლის 10 მაისს 71 წლის ასაკში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამოჩენილი სამხედრო მოღვაწე, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი აქტიური მშენებელი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საბჭოთა კავშირის გმირი, საბჭოთა კავშირის მარშალი

ᲕᲐᲡᲘᲚ ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘᲡ-ᲫᲔ ᲡᲝᲙᲝᲚᲝᲕᲡᲙᲘ.

სკკპ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ

სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ!

ᲛᲐᲦᲚᲘᲕᲛᲨᲔᲜᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ

№ 10 ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ტრესტი მაღლივმშენი (მმართველი პ. ნაკაიძე) ჯერ კიდევ ახალგაზრდა ორგანიზაციაა, მაგრამ მშენებლთა სპეციალიზებულმა კოლექტივმა უკვე ბევრი მრავალსართულიანი ნაგებობით დაამშვენა ჩვენი დედაქალაქი. სწორედ „მაღლივმშენის“ მშენებლებმა აღმართეს თბილისში შესანიშნავი „ივერია“.

მშენებელთა ახალგაზრდა კოლექტივი წარმატებით შეეგება საპირველმაისო დღესასწაულს. ამ დღეებში მოსკოვიდან ტრესტში მოვიდა ცნობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ხუთწლედის მესამე წლის პირველ კვარტალში მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისათვის № 10 სამშენებლო ტრესტს მიენიჭა საკავშირო მშენებლობის სამინისტროს, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

— ამჟამად ჩვენი კოლექტივი თბილისში 130-მდე ობიექტს აშენებს, — აღნიშნეს „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში ტრესტის მმართველის მოადგილემ **გ. ალიბეგაშვილმა** და გაერთიანებული სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარემ **ო. ქავთარაძემ**, — მათ შორის არის 14-სართულიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსი დიღმის მასივში და „ივერიის“ ძმა — სასტუმრო „ინტურისტის“ 22-სართულიანი შენობა სპორტის სასახლესთან. მიმდინარე წელს მშენებლებმა 58 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი უნდა ჩაბარონ მოსახლეობას.

200 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲔᲢᲠᲘᲗ ᲛᲔᲢᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). აბრეშუმის კომბინატის კოლექტივმა ვადაზე ხუთი დღით ადრე უპატაკა ოთხი თვის დავალების შესრულება და 200 ათასი მანეთით გადაჭარბა რეალიზაციის დავალება.

განვლილ პერიოდში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია აგრეთვე 800 კილოგრამი ნართი და 500 კილოგრამი აბრეშუმის ძაფი. მიმდინარეობს კომბინატის აღჭურვა ახალი ტექნიკით. დაიწყო მაღალი წარმადობის ავტომატური საქსოვი მანქანების მონტაჟი. წლის პირველ ნახევარში აქ 200 ასეთი მანქანა გადაეცემა საექსპლოატაციოდ.

მეტი და მაღალხარისხოვანი ქსოვილების გამოშვებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი № 2 და № 3 საქსოვი საამქროების კოლექტივებმა, რომლებსაც ო. მერკვილაძე და ი. მიქაძე უძღვებიან.

ᲨᲕᲘᲓᲒᲖᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ

ᲡᲐᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝᲓ წარმატებას მიაღწია საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს რკინა-ბეტონის ნაგებობათა ქარხნის კოლექტივმა — საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიმდინარე წლის პირველი კვარტალის მაჩვენებლებით გამარჯვებული გამოვიდა და სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსა და მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშა დაიმსახურა. აღსანიშნავია, რომ ამ დროშას თბილისელები ზედიზედ მეშვიდედ ფლობენ.

საწარმოს კოლექტივმა 115,1 პროცენტით გაანაღდა საერთო პროდუქციის გამოშვების პირველი კვარტალის გეგმა, დავალების გადამეტებით გამოშვებულია 110 ათასი მანეთის პროდუქცია, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 10,1 პროცენტით გაიზარდა. რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ოსტატებმა წარმატებით იშრომეს აპრილშიც, და საამაყო მაჩვენებლებით შეხვდნენ მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს, — აცნობეს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას ქარხნის დირექტორმა ბ. ჩიჩუაკაძემ, პარტბიუროს მდივანმა ვ. ბადელიამ და ადგილკომის თავმჯდომარემ ვ. ღულუნიშვილმა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ: ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ № 2 ᲡᲐᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲨᲘ ᲘᲪᲜᲝᲑᲘᲐᲜ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ.

ᲤᲝᲢᲝ Ა. ᲭᲔᲚᲘᲫᲘᲡᲘᲡ.

ᲝᲠᲘ ᲐᲗᲔᲣᲚᲘ წლის მეგობრობა აკავშირებს ერთმანეთთან თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო და ერევნის ძერჟინსკის სახელობის ჩარხსამშენებელ ქარხნების კოლექტივებს. ყოველწლიურად ცვლიან ისინი დელეგაციებს, ერთმანეთს ეჯიბრებიან და ეზიარებენ გამოცდილებას, აჯამებენ შრომის შედეგებს.

ამ დღეებში თავიანთ თბილისელ კოლეგებს საპასუხო ვიზიტით ესტუმრნენ ერევნელი ჩარხშენებლები. მეგობრებმა ერთობლივად აკისრეს ვალდებულება ღირსეული მაჩვენებლებით აღნიშნონ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი და ვადამდე შეასრულონ ხუთწლედის დავალებები.

• • •

ᲯᲘᲚᲓᲝ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲔᲑᲡ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.) საპირველმაისო დღესასწაულს შრომითი წარმატებებით შეხვდა ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივი (დირექტორი ვ. სამხარაძე, პარტიული კომიტეტის მდივანი პ. კაპანაძე), რომელმაც ერთი კვირით ადრე შეასრულა სასაქონლო მარგანეცის დამზადების ოთხი თვის დავალება და მასის ანგარიშში უკვე ათასობით ტონა მაღალხარისხოვანი მარგანეცი მისცა სამშობლოს.

გამართულად და რენტაბელურად მუშაობს ამ მაღაროს პროქსიდების გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივი, რომელსაც საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი გ. გაფრინდაშვილი ხელმძღვანელობს.

პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით ორჯონიკიძელები დაჯილდოვდნენ სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროსა და მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფსაბჭოს ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, რომელიც საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებით მოიპოვეს.

ᲐᲠᲘᲡ ᲮᲣᲗᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ!

ᲗᲘᲠᲯᲝᲚᲐ. (საკ. კორ.). წარმატებით მუშაობს საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ჩხარის იატაკის ფილების ქარხნის კოლექტივი, რომელმაც უკვე შეასრულა პროდუქციის გამოშვების ხუთი თვის დავალება.

ქარხნის კოლექტივმა გაზარდა შრომის ნაყოფიერება, შეამცირა თვითღირებულება, აამაღლა წარმოების კულტურა და პროდუქციის ხარისხი. აქ იბრძვიან ხუთწლედის მესამე წლის დავალების შვიდი თვისათვის შესასრულებლად.

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲜᲝᲒᲐᲗᲔᲑᲘ

◆ **წყალტუბოელ** მშრომელთა გადაწყვეტილება იყო სახელმწიფოსათვის კვერცხის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა ვადაზე ადრე შეესრულებინათ. მათ სიტყვა საქმედ აქციეს. სახელმწიფოს მიჰყიდეს 424 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად ნახევარი წლის გეგმით გათვალისწინებული 420 ათასი ცალისა.

◆ **აბაშის** რაიონის მშრომელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 274 ათასი ცალი კვერცხი და ამით ნახევარი წლის გეგმა 121,8 პროცენტით შეასრულეს.

◆ **ვანის** რაიონის მშრომელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 457 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად ნახევარი წლის გეგმით გათვალისწინებული 365 ათასი ცალისა.

თვითეულის აქტივობით

სამწუხაროდ, ზოგჯერ ასეც ხდება. აი კომუნისტი პარტიული ორგანიზაციის სარევიზიო კომისიაში აირჩიეს. კონფერენციის მონაწილეებმა მას ჯეშმარიტად დიდი ნდობა გამოუცხადეს. ის კი ფიქრობს: რა იოლი დავალებაა! მომავალ კონფერენციამდე თითქმის თვეებუფალი ვარ. შევიკრიბებით მაშინ, როცა კომისიის თავმჯდომარე ანგარიშს მოამზადებს და გავაცნობს...

დიახ, ასე ფიქრობს ზოგიერთი. და ასეთები ხომ, პასიური ამხანაგები, აღმოჩნდებიან ხოლმე ჩვენს გვერდით. ამიტომ წერილი სწორედ იმით მინდა დავიწყო, რომ ჩვენ, თვითეული კომუნისტი, ყოველთვის მთელი პასუხისმგებლობით მივუდგეთ სარევიზიო კომისიების შემადგენლობაში ინიციატივიანი, შრომისმოყვარე კომუნისტების არჩევას.

სამუშაო კი რაოდენ დიდი და პასუხსაგებია!

პარტიული და სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლის მუშაობის მუდმივ სრულყოფას, მისი დონის ამაღლებას დიდი როლი ეკისრება იმ პოლიტიკური და ეკონომიური ამოცანების განხორციელებაში, რომლებიც სკკპ XXIII ყრილობამ დაგვისახა. რაიონული, საქალაქო პარტიული ორგანიზაციების სარევიზიო კომისიებიც ერთ-ერთი წამყვანი რგოლია, რომლის მოღვაწეობის მნიშვნელობაც სულ უფრო იზრდება. ისინი ასრულებენ მნიშვნელოვან ფუნქციებს. რევიზიას უკეთებენ პარტიულ ორგანოებში საქმეთა განხილვის სისწრაფესა და სისწორეს, კონტროლს უწევენ პარტიულ სალაროს და იმ საწარმოთა სამეურნეო მოღვაწეობას, რომლებიც პარტიული კომიტეტების გამგებლობაში შედიან.

ამ სამიოდე კვირის წინათ თბილისში გაიმართა საქართველოს კომპარტიის რაიონული, საქალაქო და საოლქო პარტიული ორგანიზაციების სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეთა თათბირ-სემინარი, რომელიც მიზნად ისახავდა საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის დონის ამაღლებას. თათბირ-სემინარზე ყოველმხრივ განხილულ იქნა პარტიული კომიტეტების საფინანსო-სამეურნეო მოღვაწეობის კონტროლის პრაქტიკა. ასეთი ღონისძიება პირველად მოეწყო ჩვენს რესპუბლიკაში და მან მნიშვნელოვანი სიახლე, სეროზული შეხედულებები შეიტანა სარევიზიო კომისიების მუშაობაში, მეტი პერსპექტივები დაუსახა მათ შემდგომ მოღვაწეობაში.

როგორც თათბირ-სემინარზეც აღინიშნა, საჭიროა პარტიულ სალაროში შემოსული სახსრები სწორად, მიზანშეწონილად და ეკონომიურად იხარჯებოდეს. ამ მიზნით სარევიზიო კომისიები სისტემატურად უნდა ამოწმებდნენ



digitized by Georgian National Parliamentary Library

უფინანსო ანგარიშის შესადგენად.

ჩვენი სარევიზიო კომისია გულდასმით ამოწმებს შედგენილი კვარტალური საფინანსო ანგარიშის სისწორეს და მას მუხლობრივად აღარებს ფულადი სახსრების აღრიცხვის წიგნის მონაცემებს. ასეთი შემოწმების მიზანია მომმეტრნეობის მკაცრი რეჟიმის განხორციელება, ზედმეტი და უნაყოფო ხარჯების აღმოფხვრა. უყურადღებოდ არ ვტოვებთ პარტიული კომიტეტის ინვენტარის აღრიცხვასაც.

როგორც ცნობილია, პარტიის მთელი ბიუჯეტის ორ მესამედს შეადგენს პარტიული საწევრო შესატანი. პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან თვალყური ადევნონ იმას, რომ პარტიის ყველა წევრი და კანდიდატი ასრულებდეს საწესდო მოთხოვნას, დროზე და სრული ოდენობით იხდიდეს საწევრო შესატანს. მაგრამ ზოგიერთი პრეველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ საწევრო შესატანების დროულად გადახდას და მათს აღრიცხვა-ანგარიშებებს. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან ისეთი კომუნისტები, რომლებიც დროზე არ იხდიან საწევრო შესატანს, ხოლო პარტორგანიზაციების მდივნები მათ ახდევინებენ სამი და მეტი თვის დავალიანებას პარტიულ კრებაზე ან ბიუროს სხდომაზე საკითხის განუხილველად. ზოგან არ ითვალისწინებენ კომუნისტის დამატებით შემოსავალს. დიდი დაგვიანებით ან სრულიად არ ადგენენ ნაკრებ ანგარიშს (ფორმა № 3) რაიონულ კომიტეტებში.

ჩვენ რეგულარულად ვამოწმებთ პარტიულ ორგანიზაციებში საწევრო შესატანების მიღებისა და აღრიცხვის მდგომარეობას, კერძოდ, საწევრო უწყისების დროზე გაბმა-დახურვის, მათი გაფორმების (შევსების) სისწორეს, იმას, თუ როგორ იხდიან კომუნისტები საწევრო შესატანს თვიური შემოსავლიდან, როდის და რა თანხაა შეტანილი შემნახველ სალაროში და როგორ ხდება მისი ანგარიშგება. თვითეული კომუნისტის მიერ გამომუშავებულ თვიურ ხელფასზე პარტორგანიზაციას უნდა ჰქონდეს ბუხგალტერიის მონაცემები. შერჩევით ვამოწმებთ აგრეთვე კომუნისტთა პარტბილეთებს იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება ჩანაწერები უწყისებში მოცემულ თანხებს.

სარევიზიო კომისიის წევრთა უმრავლესობა ადგილზე შემოწმების გარდა პრაქტიკულადაც ეხმარება პარტორგანიზაციების მდივნებს მუშაობაში. სარევიზიო კომისია შემოწმების მასალების საფუძველზე აჯამებს გაწეული მუშაობის შედეგებს და ადგენს ერთობლივ აქტს საფინანსო მეურნეობისა და პარტიული საწევრო შესატანების მიღება-ანგარიშგების მდგომარეობაზე. ამ აქტს ამტკიცებს რაიკომის ბიურო.

პარტიულ ორგანიზაციებში არსებულ ისეთ ნაკლოვანებებსა და დარღვევებზე, როგორიც არის საწევრო შესატანების დავალიანება, მიღებული საწევროს დაგვიანებით ან არასწორად (მეტნაკლები) ჩაბარება შემნახველ სალაროში, ნაკრები ანგარიშების დაგვიანებით წარდგენა და სხვ., მსჯელობს პარტიის რაიკომის ბიურო სარევიზიო კომისიის წარდგენებით. ასეთ საკითხებს განვიხილავთ კვარტალში ერთხელ მაინც.

ცნობილია, რომ უკანასკნელი ანგარიშგება-არჩევნების შედეგად პირველადი პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობაში ახალი მნიშვნელოვანი ნაკადი მოვიდა. ჩვენ ვალდებულად ვთვლით თავს ქმედითად დავეხმაროთ ახალარჩეულ კომუნისტებს.

სარევიზიო კომისიამ რაიკომთან ერთად ჯერ კიდევ შარშან მოაწყო სემინარები პარტორგანიზაციების მდივნებისათვის. სემინარების მონაწილეებს სხვა საკითხებთან ერთად გავაცანით სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალი ინსტრუქცია „პარტიის წევრთა და კანდიდატთა საწევრო შესატანის შესახებ“, მიმდინარე წლის თებერვალში მოვაწყეთ თათბირ-სემინარი ხასკოლო ორგანიზაციების მდივნებისათვის. ვიუნებთ ხოლმე ცალკეულ შემთხვევებს მოკლე ინფორმაცია-საუბრებისათვის რაიკომის მიერ მოწყობილ სხვადასხვა ღონისძიებებზე. ყოველივე ამან კარგი შედეგი გამოიღო. გასულ წლებთან შედარებით უკეთესი მდგომარეობა გვაქვს პარტიული საწევრო შესატანების მიღება-ანგარიშგების საქმეში. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1968 წლის 1 იანვრისათვის პარტიული საწევრო შესატანების დავალიანების თანხა მინიმუმამდე შემცირდა. განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად რაიონის საბავშვო ბაღების ქსელის, ძმრის ქარხნის, „სოიუზტელეფონსტროის“ სამმართველოს, წინდების ფაბრიკის, № 31 და № 51 პროფტექნიკური სასწავლებლების, № 95 სახლმმართველობისა და სხვა პარტორგანიზაციებში არსებული ნაკლოვანებები გამოსწორდა.

სარევიზიო კომისია დიდ ყურადღებას უთმობს პარტიულ ორგანიზაციებსა და კომიტეტში შემოსულ მშრომელთა განცხადებებსა-საჩივრებზე დროულად და სწორად გამოხმაურების საკითხს. ეს გასაგებიც არის, რადგან ვ. ი. ლენინს მშრომელთა წერილებზე მუშაობა პარტიული მოღვაწეობის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან უბნად მიიჩნევდა.

რა თქმა უნდა, სარევიზიო კომისიების მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი უბანია [illegible] საწევრო შესატანების მიღება და ანგარიშგება, მაგრამ პარტიულმა კომიტეტებმა მთლიანად როდი უნდა მოიცილონ თავიდან ეს საქმეშა. საჭიროა სარევიზიო კომისიების მიერ ყოველკვარტალურად შედგენილი შემოწმების ანგარიშს კომიტეტებმა სერიოზული ყურადღება მიაქციონ. უნდა ავამაღლოთ კომუნისტების პასუხისმგებლობა და დისციპლინა სკკპ წესდების განუხრელად დაცვისათვის.

ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი ის არის, რომ მივაღწიოთ სარევიზიო კომისიის თვითეული წევრის აქტივობას. სამწუხაროდ, „პასიურები“ ჩვენს კომისიაშიც არიან.

ჩვენი აზრით, სარევიზიო კომისიების [illegible] მუშაობისათვის ხშირად ეს არ არის, პირიოდულად მაინც უნდა ეწყობოდეს მათი თათბირ-სემინარები. ეს მნიშვნელოვანი [illegible] გაგვიწევს [illegible] ამ [illegible] [illegible] [illegible]



მწერალი — ბუნების ქომაგი

ალაზნის ჭალებში

ლადო მრელაშვილი

ამ ცოტა ხნის წინათ თელავს ჩავედი. მშვენიერი ამინდი დამხვდა და გადავწყვიტე ალაზნისკენ ჩამეკლო.

მის ჭალებში გაზრდილს, ბალღობიდან მომდგამს იქაურობის სიყვარული. ავიყოლიე ჩემი ბიძაშვილი და დავეშვით თავქვე.

დიდად გამოაცა სოფელ კონდოლის ბოლოს ჯაგებსა და ჩირგვებში ხობის სიმრავლემ. მიუხედავად იმისა, რომ მის გვერდით ცხვრის ნოტო სძოვდა და კი ბომბორა ძალიან ჩაცუცქულიყო იქვე. ორგან თუ სამგან თვალი მოვკარი, გზის გასწვრივ როგორ გადაირბინა დედალ-მამალმა ხოხობმა.

მეტყევეთა სახლთან ყარაული და 130 სკა დაგვხვდა. ენაწყლიანი გამოდგა ბერიკაცი. ტონაზე მეტ თაფლს ვიღებთ ყოველ წელიწადსო. 300 ჰექტარამდე აკაცია გაუშენებიათ თელაველებს ალაზნის ჭალაში. 25 ჰექტარი ვერხვი, 350 ჰექტარი კაკალი, ხოლო ოცდათუთმეტი ჰექტარი თუთა, ხურმა, ბამბუკი და პოლპილის ხე.

წმინდა, კამკამა ფშა ამოჩუხჩუხებს აქაურ ჭალაზე. ჭალას გალაკვეთს და შაქრიანის ხიდთან ერთვის ალაზანს. ფშა შეუგუბებიათ და არხით უპირებენ ხელოვნურ ტბორში მიშვებას. სატბორეულ მშვენიერი ადგილი შეურჩევიათ — ორი, ორნახევარი ჰექტარი, სადაც გაზაფხულზე თევზსაც გაუშვებენ. თევზის ვეება მეურნეობა აქვთ თელაველებს კონდოლის ბოლოსაც. ყოველ ზაფხულში და შემოდგომაზე ახალ-ახალი თევზით მარაგდება სასურსათო მაღაზიები და დუქნები.

მდინარე თურფოდან შაქრიანის ხიდამდე სანადირო მეურნეობად არის გამოყოფილი ალაზნის ჭალა, სადაც ხოხობსა და კურდღლებს ამრავლებენ. საკვებ მოედნებზე ცოცხს, სორგოსა და ხიმინდს თესავენ. ძნელია, მაგრამ მაინც გადაუწყვეტიათ მავთულის ბადით მისი შემოღობვა და შიგ გარეული ღორის გაშვება. რკო და კირკიტი კაკალი ხომ ამ ცხოველების უგემრიელესი საკვებია.

ვისაც ზაფხულობით უნახავს აქაურობა, სიცოცხლეში არ დავიწყდება. გაზაფხულიდანვე გაუვალად იქცევა ჭალა და უალმაზეს სანახაობას ქმნის. ერთმანეთში ჩახვეული სურო და ლაფანი, ფაფალო შემოტმასნია დახავსებულ რტცილებს, მუხა და ბურყანი ღიპებს დაუბერდავს. ტოტიდან ტოტზე მცოცავი ღვედკეცები ვეება შავი ბაგირებივით დაჰკიდიბიან მკლავებზე ხეებს. ხოლო ძირს შამბი და ბუჩახი, ყინტორა და ღოლო ჩახლართული ერთმანეთში და ბილიკებიც კი წაუშლიათ. ატყორცნილ, აფუებულ, გაბარჯღულ ვარჯიბში ოდნავღა ატანს მზის სხივი და პრესტორიული ჯუნგლის სანახაობას ქმნის.

აქვე მოედინება „წიწმატიანის ფშა“, განთქმული თავისი კალმახით.

მთელი ჭალა ფეხით მოვიარე და თელავის სატყეოს უფროსის აკაკი კაპანაძის სასახლე

ნაირ-ნაირი

მეგობრობის ფესტივალი

წერილი უკრაინიდან

ამას წინათ დონბასის მუსიკალური ცხოვრების ყურადღების ცენტრში იყო „საბჭოთა ამიერკავკასიის მშრომელთების ფესტივალი". დონბასელი მუშახტეები, მეფოლადეები, ინტელიგენცია გულთბილად შეხვდნენ მზიური მხარის წარგზავნილებს.

საქართველოს, ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი პროფესორ გ. ჩხიკვაძის ხელმძღვანელობით უკრაინაში კარგად ცნობილი კოლექტივია. ანსამბლის კონცერტს ბევრი მაყურებელი დაესწრო. ზოგიერთი სიმღერა და ცეკვა დამსწრეთა თხოვნით გამეორებულ იქნა. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება დატოვეს „საქორწილო ადათმა", ძველებურმა საეკლესიო ხორალმა, პოპულარულმა სიმღერებმა „ციცინათელამ", „სულიკომ", აგრეთვე უკრაინულმა ხალხურმა სიმღერებმა.

ადგილობრივმა პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ ჯეროვანი ყურადღება დუთმეს ფესტივალის მონაწილეებს.

ქართული მუსიკალური კულტურის წარმომადგენლები ეწვივნენ აგრეთვე ოლქის სხვა ქალაქებსაც: მაკეევკას, ჟდანოვს, გორლოვკას, ტორეზს და სხვ.

დონბასელთა წინაშე გამოვიდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი თ. შუშკუდიანი, საქართველოს ფილარმონიის პიანისტი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი რ. ხოჯავა, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი. მომღერალი გიული ჩოხელი საფესტივალო ორკესტრის „ჩანგის" თანხლებით.

ქართველ მსახიობთა კონცერტებმა უამრავი მაყურებელი მიიზიდა.

— მიყვარს ქართული ხელოვნება, განსაკუთრებით ხალხური ცეკვები და საესტრადო სიმღერები. რა მდიდარი ტრადიციების მქონეა ქართველი ერი, — განაცხადა მაკეევკის ლენინის ორდენოსანი კიროვის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადემ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სოციალისტური შრომის გმირმა, მსოფლიო რეკორდსმენმა ვ. ვ. ხოლიავკომ. საესტრადო კონცერტის შემდეგ იმ საღამოს მაკეევკელმა მეტალურგებმა და მუშახტეებმა მჭუხარე ტაშით დაჯილდოეს ვოკალური ტრიო „ლალე", ქორეოგრაფიული კვარტეტი „დოლური" და საესტრადო ჯგუფი „თბილისის ცის ქვეშ". ქართველ, აზერბაიჯანელ და სომეხ ხელოვანთა ფესტივალი მოძმე რესპუბლიკების ძმური მეგობრული კავშირის სიმბოლოდ იქცა.

თ. ჩოჩია,
საქალაქო გაზეთ „მაკეევსკი რაბოჩის" თანამშრომელი.

ᲓᲘᲓᲘ ᲙᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝᲓ

ბარათაშვილს თარგმნის რაინერ კირში

საქართველოს მწერალთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების მოწვევით თბილისში ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თვალსაჩინო ახალგაზრდა პოეტი რაინერ კირში. იგი სიამოვნებით დათანხმდა გერმანულ ენაზე თარგმნოს ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწარმოებები.

რაინერ კირშს შემოქმედება ორგანულად დაკავშირებულია მისივე მეულლის, გდრ-ის მეორე თვალსაჩინო ლირიკოსის, ზარა კირშის (ჰოეზისათან. ისინი ერთდროულად გამოვიდნენ სამწერლო აპპარეზზე და არცთუ იშვიათად ლექსთა კოლექტიურ კრებულებს აქვეყნებენ ხოლმე. მათ ერთად აქვთ მიღებული 1965 წელს ერიხ ვაინერტის მედალი და ერთად თარგმნიან ხოლმე რომელიმე უცხოელ პოეტს. ჯერჯერობით მათი ყველაზე ცნობილი ლექსთა კრებულია „საუბარი დინოზავრთან" (1967 წელს გამოვიდა ზარა კირშის ლექსთა ახალი კრებული — „ჩემს მხარეში").

ზარა და რაინერ კირშები წერენ ურითმო, თავისუფალ რიტმიან ლექსებს. აღსანიშნავია მათი მთარგმნელობითი მოღვაწეობა. უპირატესად ისინი თარგმნიდნენ XX საუკუნის რუსულ პოეზიას. რაინერ და ზარა კირშებს თარგმნილი აქვთ სერგეი ესენინის, ანა ახმატოვას, ოსიპ მანდელშტამის ლექსები (ჩვეულებრივ კირშები ორენოვან კრებულებს აქვეყნებენ: ერთ მხარეს დაბეჭდილია ორიგინალი, მეორე მხარეს თარგმანი. განზრახულია გამოიცეს ბარათაშვილის ასეთივე კრებული).

რაინერ კირში დაიბადა 1934 წელს დობელნში (საქსონია). იგი სწავლობდა ისტორიასა და ფილოსოფიას ქალეს და იენაში. შემდეგ მუშაობდა სტამბაში, ქიმიურ კომბინატში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში; 1960-1963 წლებში ლიტერატურული შრომით ირჩენდა თავს. 1963-1966 წლებში სწავლობდა ლაიპციგის ლიტერატურის ინსტიტუტში. ამჟამად ჰალეში ცხოვრობს და თავისუფალ შემოქმედებით მუშაობას ეწევა თავის მეუღლესთან, ზარა კირშთან ერთად.

რაინერ კირში უკვე შეუდგა ბარათაშვილის ლექსების თარგმნაზე მუშაობას. პარალელურად ეცნობა ქართულ ხელოვნებასა და კულტურას.

ქართული პროზოდიის საკითხებზე მას კონსულტაცია გაუწია ქართული ლექსისა და ბარათაშვილის სპეციალისტმა, პროფესორმა აკაკი გაწერელიამ. ბარათაშვილის ლექსთა ე. წ. პწკარედი (ე. ი. როგორც გერმანელები ამბობენ, „ნედლი თარგმანი") შეასრულა თბილისის უნივერსიტეტის ლექტორმა და [illegible] ამუკელმა. [illegible] ბარათაშვილის შეუდგებოდეს, შესთა ყოველი ლექსის [illegible] ლექსურად [illegible] ორიგინალის მეტრს [illegible] და ა. შ. მაგრამ რაინერ კირშის მიზანი არ არის თარგმანის გარეგნული მიმსგავსება დედანთან, გერმანული ლექსიერთვის არაბუნებრივი მეტრისა და ლექსწყობის გამოყენება. მას სურს შექმნას რიგიანი, ნამდვილი გერმანული ლექსები, ამასთან შეინარჩუნოს დედნის სულიც. წარმატება ვუსურვოთ ახალგაზრდა პოეტს ამ კეთილშობილურ საქმეში.

ნოდარ კაკაბაძე.

ეს ახლახან გაიხსნა...

ᲙᲝᲚᲔᲜᲘᲓᲘᲡ ზღვისპირა ქალაქს არაერთი ლამაზი საზოგადოებრივი შენობა შეემატა. ქალაქის ცენტრში აგებული ლამაზ შენობაში მოთავსდა საქალაქო ცენტრალური ბიბლიოთეკა.

მწყობრში ჩადგა ფოთვაჭრობის ახალი ორსართულიანი უნივერმაღი, კულინარულ-სავაჭრო გაერთიანების ფაბრიკა და სხვ.

ყველაზე ძვირფასი შენაძენი მაინც რიონის მარცხენა სანაპიროზე აგებული ფართოეკრანიანი კინოთეატრია, რომელიც უახლესი ტექნიკის მიხედვით არის აგებული და 800-ზე მეტ მაყურებელს იტევს.

კ. კომპახიძე.

მᲨᲝᲒᲚᲘᲣᲠᲘ ᲰᲔᲘᲨᲐᲣᲢᲔᲑᲘ

ᲮᲔᲕᲡᲣᲠᲔᲗᲘ. ᲙᲠᲐᲒᲕᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲐ. ფოტო ვ. ქისტაურისა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲖᲐ

ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ

მილიციელის მამაცობა

ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘ. (საკ. კორ.). ვინც ამბროლაურში ყოფილა, უეჭველად ეცოდინება მთის მდინარე კრიხულა, რომელიც რაიონულ ცენტრს როგორც კი ჩაუვლის, იქვე ბობოქარ რიონს ერთვის.

ამას წინათ საოცარი ამბის მომსწრენი გახდნენ მგზავრები, რომლებსაც თავი მოეყარათ ამბროლაურის ავტოსადგურში. აზვირთებული კრიხულა ძალგამოლეული ადამიანს თავქვე მიაქანებდა. ოღნავ დაყოვნება, და ადამიანის დაღუბვა გარდუვალი იყო, რადგან ოღლი როდია გაშმაგებულ მდინარესთან შერკინება. ეს საკუთარი თავის განწირვას ნიშნავდა. ყველა შეყოყმანდა.

და ამ დროს ხალხს ერთი ახალგაზრდა გამოეყო და შემთხვევის ადგილისაკენ გაექანა. ეს ახალგაზრდა ამბროლაურის რაიმილიციის ოპერრწმუნებული გურამ ჯაფარიძე იყო. იგი ახლადდაგებული სამანქანო ხიდიდან აბობოქრებულ მდინარეში გადაეშვა და მამაცურად შეუტია სტიქიას. მილიციელი და წყალწაღებული თანდათან რიონს უახლოვდებოდნენ და აი შესაართავთან ბრძოლა ადამიანის გამარჯვებით დამთავრდა. მამაცმა მილიციელმა მდინარეს გამოსცა მოქალაქე გ. ვახტანგაძე, რომელსაც გაუფრთხილებლობით ფეხი დასცდენოდა და მდინარეში ჩავარდნილიყო.

ᲛᲐᲙᲘᲗᲮᲔᲚᲔᲑᲐ ᲗᲛᲐᲕᲐᲖᲝᲒᲗ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲬᲕᲠᲘᲡ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲤᲐᲠᲛᲐᲙᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲘᲚᲘᲜᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ **Ვ. ᲖᲐᲙᲣᲡᲝᲕᲘᲡ** ᲬᲔᲠᲘᲚᲡ **ᲤᲐᲠᲛᲐᲙᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ** ᲣᲠᲘᲒᲝ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲒᲔᲪᲜᲝᲗ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ **ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲠᲘᲢᲣᲐᲚᲘ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲗ ᲤᲐᲛᲚᲔᲑᲘ,** რადგან მედიკამენტების თვითნებურ ხმარებას შეიძლება გამოუსწორებელი შედეგი მოჰყვეს. სწორედ ამაზე გვესაუბრება სანიტარული განათლების ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დოცენტი **ვ. ტარხოვსკი.**

ᲠᲝᲚᲔᲡ უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ახლო მომავალში ფარმაკოლოგია კაცობრიობას მოუტანს ხსნას ბევრი ავადმყოფობისაგან.

მეცნიერთა ძიება უწინარეს ყოვლისა მიმართულია იმ ავადმყოფობებთან საბრძოლველად, რომლებსაც ყველაზე მეტი უბედურება მოაქვთ.

ჯერჯერობით მეტი წილი ვირუსები გამძლე არიან ქიმიური პრეპარატების მიმართ. მაგრამ ჩვენ როდი ვაპირებთ იარაღი დავყაროთ. მით უმეტეს, რომ უკვე არის პირველი წარმატებანი. ხომ დაყარა იარაღი, მაგალითად, ტრაქომის ვირუსმა! შეიძლება რწმენა ვიქონიოთ, რომ ნაპოვნი იქნება საშუალებანი სხვა ვირუსების წინააღმდეგაც.

ალბათ მოხერხდება შეიქმნას საშუალებანი, რომელთა დახმარებით, გულში ნივთიერებათა ცვლაზე ზემოქმედებას რომ მოვახდენთ, შესაძლებელი გახდება თავიდან ავიცილოთ მოიკარდის ინფარქტი.

გაჩნდება წამლები, რომლებსაც შეეძლებათ შეცვალონ ფსიქიკური პროცესების მიმდინარეობა და რადიკალურად განკურნონ თუ უველა არა, მეტი წილი ფსიქიკური დაავადებანი. დასასრულ, ფარმაკოლოგია ბევრ ავადმყოფს წაართმევს ქირურგიას. დარწმუნებული ვარ, რომ ავთვისებიან წარმონაქმნებს საბოლოოდ დაამარცხებენ წამლები, და ჩვენმა შთამომავლებმა, ხოლო შესაძლებელია თვითონ ჩვენც გაკვირვებით მოვიგონთ ის დრო, როცა სიმსივნის მოშორება დანით გვიხდებოდა.

თანაშედროვე ქიმიის ძლიერება და წამლების შექმნის პრინციპულად ახალი გზები საფუძველს გვაძლევენ ასეთი იმედებისათვის.

ფარმაკოლოგიები სულ უფრო ღრმად სწვდებიან ორგანიზმში მიმდინარე პროცესების არსს და სულ უფრო ბეჯითად სწავლობენ ცოცხალი ბუნებისაგან.

ჩვენ უკვე გვაქვს პრეპარატები, რომლებიც დამზადებულია ბუნებრივი მოდელების მიხედვით. დროთა მსვლელობაში ასეთი წამლები მეტი გახდება, ისინი ბუნებრივ ნივთიერებათა უფრო ზუსტი ასლები იქნებიან, ხოლო შესაძლებელია უფრო სრულყოფილიც კი აღმოჩნდნენ.

შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ ოდესმე ახდება შუა საუკუნეების ალქიმიკოსთა ოცნება ერთიან წამალზე — პანაცეაზე? არასოდეს! ერთი წამალი არ შეიძლება არსებობდეს. უეჭველია, წამლები გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე ამჟამად არის. არა მარტო იმიტომ, რომ ავადმყოფობა სხვადასხვაა, არამედ იმიტომაც, რომ ადამიანები სხვადასხვა არიან, იმიტომ რომ ორგანიზმი თავისებურ რეაქციას ახდენს ავადმყოფობაზეც და წამლებზეც.

ახლა ექიმი ჯერ კიდევ თავს იტეხს იმ გამოცანაზე, რომ ეფექტს არ იძლევა საშუალება, რომლის გამოყენებისათვის თითქოს ყველა მაჩვენებელი იყო. ასობით პაციენტზე იგი სრულ წარმატებას იძლეოდა, ათეულებზე კი არ მოქმედებს. სად გამოინახოს ის ერთადერთი გასალები, რომელიც შეიძლება სწორედ ამ კარს მოერგოს?

ახლო მომავალში ფარმაკოლოგია ექიმს გადასცემს ასეთ გასალებთა მთელ ნაკრებს. ხოლო თუ გვაქვს ინდივიდუალური საშუალება, მაქსიმალურად ზუსტი დამზნების საშუალება, — ეს ნიშნავს უზრუნველყოთ მკურნალობის წარმატება.

ამასთან, როცა ვთქვი, რომ პანაცეა შეუძლებელია, მე არ მინდოდა მეთქვა, რომ სასწაულები შეუძლებელია. ფარმაკოლოგია მოგვცემს სხვა საშუალებებს ჯადოქართა არსენალიდან, მაგალითად, „სიმხნევის ელექსირს".

უკვე ახლა გვაქვს ნივთიერებანი, რომლებიც გვეხმარებიან იმაში, რომ ვებრძოლოთ ავადმყოფურ დეპრესიას, გავლენას ახდენენ განწყობილებაზე. და სავსებით შესაძლებელია, რომ შემდგომში მეცნიერები შექმნიან პრეპარატებს, რომლებიც ძალიან ეფექტურად მოსცემენ სტიმულს ორგანიზმის სასიცოცხლო ძალებს, დეხმარებიან ადამიანს უკეთ დაეუფლოს ემოციებს, უფრო მკაფიოდ გამოიჩინოს ნიჭი და უნარი.

ᲬᲐᲛᲚᲔᲑᲘᲡ უკონტროლოდ ხმარების მავნებლობაზე არაერთხელ დაწერილა. მიუხედავად ამისა, მაინც გვიხდება კვლავ დავუბრუნდეთ ამ თემას. ავადმყოფებს ხშირად ავიწყდებათ, რომ მთელი რიგი სამედიცინო პრეპარატების თავისი ნებით გამოყენებას შეიძლება მოჰყვეს ძრასსიამოვნო შედეგები, ზოგჯერ კი საშიშიც. ვინ არ იცის, რომ მაგალითად, პირამიდონი, ანტიპირინი, ასპირინი, ანალგინი, ბუტადიონი ტკივილის გამაყუჩებელი და სიცხის დამწევი საშუალებებია? ამ წამლებს ექიმები წარმატებით იყენებენ ნევრალგიისა და რევმატიზმის დროს, სახსრების დაავადებისას, გაცივებისას და ა. შ. მაგრამ ხანგრძლივი „შინაურული" დოზირებისას ამ წამლებსაც ზოგჯერ ვნება მოაქვთ ავადმყოფისათვის და არა სარგებლობა. კერძოდ, პირამიდონი და ბუტადიონი მკვეთრად ამცირებენ სისხლის თეთრი ბურთულების რიცხვს. ეს ხდება, თუ რა საძიებელია მოსდევს ამას.

წამლების მოქმედების გვერდითი გამოვლინებანი, როგორც წესი, ძლიერდებიან დოზის გადიდებით. არსებითი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ავადმყოფის ასაკს. ბავშვებსა და მოხუცებს განსაკუთრებით ხშირად ემართებათ არასასიამოვნო ამბები. მაქსიმალურ სიფრთხილეს უნდა ინერნენ ხანში შესული ადამიანი — მოხუცობაში სისხლძარღვები ადვილად იბზარება, და შესაძლებელია სისხლის შინაგანი ჩაქცევა. გარდა ამისა, ხანში შესულნი უნდა ერიდებოდნენ ზოგიერთ ძლიერ მოქმედ სასაქმებელ საშუალებებს, რვანდს, ხეშავს. ჩანასახის განვითარებაზე შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ორსული ქალების თვითმკურნალობამ, ამასთან აუ განსაკუთრებით საშიშია პირველი 9-10 კვირა. ამ დროს ყალიბდება მომავალი ბავშვის ძირითადი სისტემები და ორგანოები.

ᲛᲝᲜᲐᲚᲘᲠᲘᲡ ᲑᲘᲚᲘᲙᲘᲗᲘ

ᲬᲐᲛᲚᲘᲡ ᲡᲘᲙᲔᲗᲔ ᲓᲐ... ᲛᲐᲕᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ

ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲘᲡ რაიონის წყავაშის სამონადირეო ნაკრძალში არავინ არ მოელოდა ასეთი ამვიანი მტაცებლის გამოჩენას, მაგრამ, როცა ჯვარელმა მონადირემ ანტიფო ქანთარიამ ერთ დილით ხაფანგს მიაკითხა, მასში მძვინვარე მხეცი შეამჩნია.

— ფოცხვერი? კი მაგრამ საიდან! — გაიფიქრა მან და სასწრაფოდ უვნებელყო იგი, რადგან ნაკრძალში მტაცებლის გამოჩენა მეტად საგანგაშოა. საფრთხეში ვარდებიან მისი ახლახან მოშენებული ბინადარნი — გარეული ღორები, შვლები, ირმები, რომლებიც მალე აპირებენ აქ „ჩამოსახლებას".

ფოცხვერის ტყავს რაიონის ცენტრში უამრავი ცნობისმოყვარე შემოესია. გარდა ამისა, ანტიფომ იმ დღეს ერთი მგლის, 7 კვერნის, 4 მელიისა და 2 ტურის ტყავი ჩააბარა მონკავშირს.

ზ. ᲨᲘᲜᲘᲐ.

ᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘᲪ ᲐᲛᲐᲡ ᲰᲭᲕᲘᲐ...

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ — ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ

ᲛᲔᲢᲐᲓ მძიმე ამოცანის წინაშე იდგა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი. იმისათვის, რომ იგი ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში გასულიყო, ბუშინდელი მატჩი მოსკოვში სულ მცირე სამი ბურთის სხვაობით უნდა მოეგო უნგრეთის ნაკრებთან, სწორედ იმ გუნდთან, რომელთანაც ბუდაპეშტში დამარცხდა 0:2.

საბჭოთა ნაკრებმა მატჩი ბრწყინვალედ ჩაატარა და ეს, მართლაც, რომ ძნელად გადასაჭრელი ამოცანა სახახელოდ დაავგერგვინა, **ᲛᲝᲜᲘᲐᲜᲘ ᲨᲔᲡᲮᲔᲓᲠᲐ 3:0 ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲒᲐᲕᲘᲓᲐ.**

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ტაიმი დამთავრდა 1:0 ჩვენი ფეხბურთელების სასარგებლოდ. 22-ე წუთზე **ᲑᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ** დარტყმის შემდეგ **ᲨᲝᲛᲘᲛᲝᲨᲘᲛ** საკუთარ კარში გაიტანა ბურთი. მეორე ნახევარში ჯერ ხურცილავამ 59-ე წუთზე საჯარიმო დარტყმით, შემდეგ კი **ᲑᲘᲨᲝᲕᲔᲦᲐᲕ** კიდევ ორი გოლი გაიტანეს.

3:0 — ჩინებული რევანშია!

სსრ კავშირის ნაკრებში თამაშობდნენ — **ᲙᲐᲕᲚᲘᲜᲘᲜᲘᲙᲝᲕᲘ, ᲐᲨᲝᲜᲘᲜᲘ, ᲨᲔᲚᲔᲤᲐᲠᲜᲘᲝᲕᲘ, ᲮᲣᲠᲪᲘᲚᲐᲕᲐ, ᲐᲜᲘᲩᲙᲘᲜᲘ, ᲙᲐᲪᲐᲚᲘᲩᲙᲘᲜᲘ, ᲩᲘᲚᲔᲜᲙᲝ, ᲒᲝᲠᲝᲜᲘᲜᲘ, ᲑᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲑᲘᲨᲝᲕᲔᲦᲘ, ᲔᲤᲘᲠᲣᲨᲘᲜᲘ.**

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲗ

◆ **ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲨᲘ** რესპუბლიკურ საჭადრაკო ჩემპიონატს ფინში აქვს. უკანასკნელი ტურის წინ ლიდერს—თ. ლომაიას 11 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს. ა. ბოკუჩავა 10 ქულით მეორე ადგილზე იმყოფება. ზ. მიქაძეს 9,5 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს. ბ. გურგენიძეს — 9,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

◆ **ᲒᲣᲜᲓᲘᲡ** ობილისში „ლოკომოტივისა" და სუმგაითის „ფოლადის" მატჩი ფეხბურთში დამთავრდა 0:0.

◆ **ᲣᲜᲘᲐᲠᲘ** შემთხვევა მოხდა შვეიცის ფეხბურთელთა გუნდების — „ენგებაკენისა" და „უდეგალის" მატჩში. თამაშის დამთავრებამდე 25 წუთით ადრე, როდესაც ანგარიში იყო 28:0 — „უდეგალის" სასარგებლოდ „ენგებაკენის" ფეხბურთელებმა თითო-თითოდ იწყეს მოედნის დატოვება. მსაჯი იძულებული იყო თამაში შეეჩერებინა. დამნაშავე გუნდს მოედნის ლიგიდან გარიცხვა.

ᲛᲝᲜᲐᲚᲘᲠᲘᲡ ᲑᲘᲚᲘᲙᲘᲗᲘ

ᲤᲝᲪᲮᲕᲔᲠᲘ ᲮᲐᲤᲐᲜᲒᲨᲘ

ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲘᲡ რაიონის' წყავაშის სამონადირეო ნაკრძალში არავინ არ მოელოდა ასეთი ამვიანი მტაცებლის გამოჩენას, მაგრამ, როცა ჯვარელმა მონადირემ ანტიფო ქანთარიამ ერთ დილით ხაფანგს მიაკითხა, მასში მძვინვარე მხეცი შეამჩნია.

— ფოცხვერი? კი მაგრამ საიდან! — გაიფიქრა მან და სასწრაფოდ უვნებელყო იგი, რადგან ნაკრძალში მტაცებლის გამოჩენა მეტად საგანგაშოა. საფრთხეში ვარდებიან მისი ახლახან მოშენებული ბინადარნი — გარეული ღორები, შვლები, ირმები, რომლებიც მალე აპირებენ აქ „ჩამოსახლებას".

ფოცხვერის ტყავს რაიონის ცენტრში უამრავი ცნობისმოყვარე შემოესია.

ᲛᲝᲜᲐᲚᲘᲠᲘᲡ ᲑᲘᲚᲘᲙᲘᲗᲘ

ᲤᲝᲪᲮᲕᲔᲠᲘ ᲮᲐᲤᲐᲜᲒᲨᲘ

ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲘᲡ რაიონის' წყავაშის სამონადირეო ნაკრძალში არავინ არ მოელოდა ასეთი ამვიანი მტაცებლის გამოჩენას, მაგრამ, როცა ჯვარელმა მონადირემ ანტიფო ქანთარიამ ერთ დილით ხაფანგს მიაკითხა, მასში მძვინვარე მხეცი შეამჩნია.

— ფოცხვერი? კი მაგრამ საიდან! — გაიფიქრა მან და სასწრაფოდ უვნებელყო იგი, რადგან ნაკრძალში მტაცებლის გამოჩენა მეტად საგანგაშოა. საფრთხეში ვარდებიან მისი ახლახან მოშენებული ბინადარნი — გარეული ღორები, შვლები, ირმები, რომლებიც მალე აპირებენ აქ „ჩამოსახლებას".

ფოცხვერის ტყავს რაიონის ცენტრში უამრავი ცნობისმოყვარე შემოესია. გარდა ამისა, ანტიფომ იმ დღეს ერთი მგლის, 7 კვერნის, 4 მელიისა და 2 ტურის ტყავი ჩააბარა მონკავშირს.

ზ. ᲨᲘᲜᲘᲐ.

ᲜᲐᲘᲠ-ᲜᲐᲘᲠᲘ

ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲔᲥᲠᲐᲜᲘ ᲤᲔᲠᲛᲐᲨᲘ

ᲗᲘᲐᲜᲔᲗᲘ. (საკ. კორ.). ᲙᲐᲠᲒᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲒᲐᲙᲔᲗᲓᲐ ᲐᲠᲢᲔᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲝᲒᲐᲨᲘ, ᲡᲐᲡᲐᲓᲐᲒ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲐᲛᲝᲜᲔᲣᲚᲘ ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲝᲛᲬᲧᲝᲒᲝᲚᲘ ᲤᲔᲠᲛᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲙᲣᲗᲮᲝᲨᲘ ᲐᲙᲘᲐᲤᲔᲓᲐ ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲔᲥᲠᲐᲜᲘ. ᲐᲮᲚᲐ ᲛᲫᲕᲔᲚᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲕᲚᲔᲚᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚ ᲡᲐᲐᲗᲔᲑᲨᲘ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲔᲜ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲐᲠᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲬᲘᲗ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑ